არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/185

17 აპრილი 2013 წ.

ქ. თელავი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლის და აგრარულ მეცნიერებათა სკოლის უფლებაშეწყვეტილი წევრების ადგილზე არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტების, მე-20 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №209/ნ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, უნივერსიტეტის და სკოლების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ კოლეგიური საბჭოს მიერ 2012 წლის 30 მარტს დამტკიცებული დებულების (ოქმი №4) და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწვეტილების (ოქმი N14) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაინიშნოს არჩევნები აკადემიურ საბჭოში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლის და აგრარულ მეცნიერებათა სკოლის უფლებაშეწყვეტილი წევრების ადგილზე 2013 წლის 7 მაისს;
2. განისაზღვროს საარჩევნო კომისია 3 (სამი) წევრით:

ა) დარეჯან მაისურაძე - ასოცირებული პროფესორი;
ბ) თამარ ნადირაძე - სრული პროფესორი;

3. სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ კომისიაში შეყვანილ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის ერთი წევრი;

4. დაევალოს საარჩევნო კომისიას არჩევნების დადგენილ ვადებში,მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება;

5. არჩევნების საორგანიზაციო (ტექნიკური) ხარჯების ანაზღაურება (საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2013 წლის 19 აპრილს და დასრულდეს 28 აპრილს 16:00 საათზე;

7. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 9^{00}სთ-დან 17^{00}საათამდე, საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ.თელავი უნივერსიტეტის ქუჩა N1, პირველი სასწავლო კორპუსი, 2-ე სართული ოთახი N35 (ტელ:0350-23-22-11);

8. დაევალოს საქმის წარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურს /მანანა ბეჟანიშვილი/ ბრძანების ყველა დაინტერესებული სამსახურებისათვის დროული მიწოდება;

9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს /ნელი ცქიტიშვილი/ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე;

10. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ. №41);

უნივერსიტეტის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი /დავით მახაშვილი/